

ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრი „ფერმერთა სკოლა“

მისამართი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ნინოწმინდა
ტელ: 595 96 79 19;
ელ.ფოსტა: farmer.school@yahoo.com
ვებ. გვერდი: www.farmersschool.ge

პროგრამის სახელწოდება: ტყის მცველი



პროგრამის მიზანია მსმენელებმა მიღებული ცოდნა და გამოცდილება გამოიყენონ ტყეში პრაქტიკული, სატყეო სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას. მომზადებული კადრი შეძლებს უსაფრთხოდ განახორციელოს ტყეში სატყეო სამეურნეო ღონისძიებები, მათ შორის: ხე-ტყის დამზადება, ტყის პროდუქციის სორტიმენტაცია და სორტიმენტების ზომების დადგენა (სიგრძე, მოცულობა), განახორციელოს ხე-ტყის

დახარისხება, უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

სწავლების ენა - ქართული

სწავლება-სწავლის პროცესი, დასაქმების სფეროები:

პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა; 110 საათი; პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს ტყის მცველად. პროგრამის ყველა შედეგის დადასტურების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

სწავლა უფასოა და ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს.